ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000217853

23/02/2023

2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილებში ცვლილების განხორციელების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“;
2. 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 თებერვლის N215909 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი, №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა